23/09/2025

MES 5 25 0001203304

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის" სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის" ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;

პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის" მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის"დირექტორი, საბჭოს წევრი;

მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;

ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;

დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის" დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის" თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;

ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის" ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლა:
თამაზ კილაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ბათუმის N9 საჯარო სკოლა:
გივი ხალვაში - სკოლის დირექტორი
სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოს N1 საჯარო სკოლა:
ინგა ბერიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ- ნადიმ ართმელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბეღლეთის საჯარო სკოლა:
რამაზ ლომიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მარანის საჯარო სკოლა:
ზაზა პიტავა - სკოლის დირექტორი
სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა განთიადის საჯარო სკოლა:
ქეთევან კომახიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ბათუმის N13 საჯარო სკოლა:
ირმა ჯანიაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ თბილისის №127 საჯარო სკოლა:
ლია სამადაშვილი - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლა:
ა) მაკა ტუკვაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ლია ჯალაღონია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მარინე კუჭუხიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მანანა გიგიბერია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნანა ჩილინგარაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თეა ხუროშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ირმა ხუნდაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მანანა შეროზია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) დომინიკა აბაშიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ბათუმის N9 საჯარო სკოლა:
ა) ირინა დვალი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო ფაილოძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა დუგლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) თინათინ ნანობაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ინგა გოგალაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სალომე არაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მორის გუმბარიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნიკოლოზ ჩუბინიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ირინე შარაბიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ეკატერინე მაკარიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლ) გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოს N1 საჯარო სკოლა:

ა) ლენა გომართელი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მზიანა ხორავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხატია კაჭარავა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ფიქრია მუსერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თეა მამულია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ინგა ხრიკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნათია გაგნიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ციცინო გობაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მარინე ახალაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ხათუნა ბენდელიანი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მიხეილ გაფრინდაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- ნადიმ ართმელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბეღლეთის საჯარო სკოლა:

ა) თალიკო ჯაყელი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ სურმანიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ეთერი ბროლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო თედორაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) რუსუდან ნიპარიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლია ციცქიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეა ხუროშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თეოდორა ლემონჯავა (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) გოჩა შუბითიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) დომინიკა აბაშიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ეკატერინე მაკარიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მარანის საჯარო სკოლა:

ა) ტარიელი სივსივაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამრიკო ბასილაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა ტოტოჩავა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეკატერინე ჟვანია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თეა მამულია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარ წულუკიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანა ყანჩაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნინო წიკლაური (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) სვეტა გორგიშელი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ლაცაბიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა განთიადის საჯარო სკოლა:

ა) რაინდი როდონაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) დალი ჯაბაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მაია ფხაკაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მიმოზა ღოლიჯაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნონა ბეროშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნათია მაკრახიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ინგა ცერცვაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ლელა გაბისონია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) სერგო დურგლიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ბათუმის N13 საჯარო სკოლა:
ა) მანანა ალიბეგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ვერა მღებრიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თეა მათითაიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ანა ანუშიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ზურაბ ურიადმყოფელი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ქეთევან პარუნაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) დიმიტრი პოპოვი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარინე კვარაცხელია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინო გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის №127 საჯარო სკოლა:
ა) ლელა ჯაში (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაკა მამფორია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ჭაუჭიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ლელა წურწუმია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო წერეთელი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნანა ჩილინგარაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მეგი კაპანაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ირინე ჯანაშია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მურად ფახურიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 10 სექტემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების

მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1. სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოს №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ნადიმ ართმელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბეღლეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მარანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა განთიადის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ქალაქ ბათუმის №13 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ქალაქ თბილისის №127 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 07 და 08 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 750. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 750 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება“ სტანდარტის მოთხოვნებს.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ სკოლის შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული და შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და ადაპტირებული გარემო. დაწესებულებას ჰქონდა საგანმანათლებლო სერვისის განხორციელებისათვის საჭირო ყველა რესურსი.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციას და არაფორმალური განათლების კომპონენტის გაძლიერებას. ამ მიზნით სკოლას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი კოლეჯთან „ჰორიზონტი“, ასევე სკოლაში ფუნქციონირებდა ისეთი კლუბები, როგორებიცაა „მნათობი“, „ფესვები“, „მუზა“, „ეკოCLUB-ლანჩხუთი 1”. ასევე, ხორციელდებოდა პროექტები „ღირსეული პირველსკოლელები“,„პითაგორა და პითაგორელები“, „მოგზაურობა ცოდნის ბილიკებზე“ და „რა მინდოდა გურიაში“. ექსპერტის თქმით, სკოლის მოსწავლეები იყვნენ გურიის სკოლების იდეათონის გამარჯვებულები და მიღებული ფულადი ჯილდო მოხმარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვას.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დადებითი დასკვნა.
საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის აყვანასთან დაკავშირებით, რა ნაბიჯები ჰქონდა გადადგმული სკოლას.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, აღნიშნა, რომ ახალი სასწავლო წლიდან ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი აპირებდა პერსონალურ მონაცემთა ოფიცერის აყვანას, რომელიც ზედამხედველობას გაუწევდა რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ სკოლებს.
სკოლის დირექტორმა, თამაზ კილაძემ, აღნიშნა, რომ 2025-2026 სასწავლო წლისთვის რესურსცენტრი დაასაქმებდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს და შესაბამისად გაითვალისწინებდნენ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან აღნიშნულ საკითხთან მიმართებით გაცემულ რჩევას. მისი თქმით, სკოლას პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით ჰქონდა ყველა საჭირო დოკუმენტი.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე რამდენი მოსწავლე ჰყავდა სკოლას.
სკოლის დირექტორმა, თამაზ კილაძემ, აღნიშნა, რომ სკოლაში სწავლობდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 18 მოსწავლე და სკოლა სრულად იყო ადაპტირებული და აღჭურვილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა საჭიროებებისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 750- ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:25
დასრულების დრო - 14:32

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 233646365) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 750 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ლანჩხუთი, ჟორდანიას ქუჩა N123
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ლანჩხუთი, ჟორდანიას ქუჩა N123
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ლანჩხუთი, ჟორდანიას ქუჩა N123

2. სსიპ - ქალაქ ბათუმის N9 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს

წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირინა დვალმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ბათუმის N9 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 19 და 20 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 2552. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 2552 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ირინა დვალმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება“ სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა ,,მეტწილად”.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა ფიზიკის კლუბი „ევრიკა“, რომელიც წლების განმავლობაში მონაწილეობდა სხვადასხვა კონკურსში, იმარჯვებდა და მიღებული გრანტებით შეძენილ იქნა ფიზიკის კაბინეტისათვის საჭირო სასწავლო რესურსები.

ექსპერტმა, ირინა დვალმა, წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ შენობა იყო ახალრებილიტირებული, შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და ადაპტირებული გარემო.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული გარემოებიდან გამომდინარე, საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რა ვითარება იყო სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა, ირინა დვალმა, აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდშივე სკოლის მიმართ გაიცა გარკვეული რჩევები, რომლებიც გაითვალისწინა სკოლამ, ხოლო დაფიქსირებულ ხარვეზებთან დაკავშირებით გადმოაგზავნა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის თანახმადაც, სკოლის წარმომადგენლებს ჰქონდათ მზაობა, გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინების, რაც ასევე გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმაც.

საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა, რა ვითარება იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვასთან დაკავშირებით.

სკოლის დირექტორის, გივი ხალვაშის თქმით, პირველ სტანდარტთან მიმართებით გაცემული და ადაპტირებული სველი წერილების მოწყობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები გათვალისწინებული ჰქონდათ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიასთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ შეიძინეს სადემონსტრაციო მაგიდა, ამწოვი კარადა, ხოლო რეაქტივების შეძენისთვის გაფორმებული ჰქონდათ ხელშეკრულება და ელოდებოდნენ რესურსების მიღებას.

საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე, დაინტერესდა, რამდენი მოსწავლე სწავლობდა საბჭოს მიმდინარეობის მომენტისთვის სკოლაში.
სკოლის დირექტორის თქმით, სკოლაში ირიცხებოდა 2460 მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ბათუმის N9 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2552- ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:46
დასრულების დრო - 14:53

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ბათუმის N9 საჯარო სკოლას (ს/კ: 245429282) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2552 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ბათუმი, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა №13
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ბათუმი, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა №13
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ბათუმი, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა №13

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის დეკემბერში 2.2 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვისა და ადაპტირებული სველი წერტილების მოწყობის, ხოლო, 2027 წლის სექტემბერში შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოს N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლენა გომართელმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოს N1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 05 და 06 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 300. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 300 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ლენა გომართელმა, აღნიშნა, რომ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას დაწესებულება ახორციელებდა ორ მისამართზე,ქედის მუნიციპალიტეტში სოფელი დანდალოში და ამავე მუნიციპალიტეტში სოფელი მოსიაშვილებში, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებდა სოფელ დანდალოში მდებარე შენობაში.
ექსპერტმა, ლენა გომართელმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება“ სტანდარტის მოთხოვნებს, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასდა „მეტწილად“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი“ შესაბამისობით.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.

ექსპერტის თქმით, რეგიონში სკოლა იყო კონკურენტული და მოსწავლეებისათვის შეთავაზებული ჰქონდა ყველა ის აქტივობა, რომლის განხორციელებაც სურდათ მათ. ასევე, აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა მწვანე სკოლის სტატუსი.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დასკვნაში ასახული გარემოებებიდან გამომდინარე დაინტერესდა, მასწავლებლების დასაქმების მიზნით გამოცხადებული ჰქონდა თუ არა სკოლას ვაკანსიები. ასევე, რა ვითარება იყო ექიმის კაბინეტის მოწყობასთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორის, ინგა ბერიძის თქმით, გამოცხადებული ჰქონდათ ვაკანსიები, თუმცა პირველი ეტაპი ჩაიშალა, ვინაიდან გასაუბრებაზე მოწვეული კანდიდატები არ გამოცხადდნენ და შემდგომ კიდევ გამოაცხადეს ვაკანსია. ექიმის კაბინეტთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღჭურვილი იყო ყველა საჭირო რესურსით.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი დაინტერესდა, რა ეტაპზე იყო შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვების საკითხი.
სკოლის დირექტორის თქმით, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა მოპოვებული ჰქონდათ, თუმცა დასკვნა იყო ქალაქ თბილისში და მატერიალურად არ ჰქონდა დირექტორს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოს N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:11
დასრულების დრო - 15:14

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოს N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 246760713) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1		დაწყებითი	ქართული	

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ქედის მუნიციპალიტეტის, სოფელდანდალოს პირველი ქუჩა N18; ქედის მუნიციპალიტეტი, მოსიაშვილების მესამე ქუჩა N6.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქედის მუნიციპალიტეტი,დანდალოს პირველი ქუჩა N18
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქედის მუნიციპალიტეტი, დანდალოს პირველი ქუჩა N18

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის დეკემბერში, 3.1 და 3.4 კომპონენტებთან მიმართებით, სპორტის, მუსიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლების დასაქმების, სკოლაში დასაქმებულთა ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობისა და უფლების შესახებ ცნობების, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმის, შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნების (ორივე მისამართზე) (ქედის მუნიციპალიტეტის, სოფელ დანდალოს პირველი ქუჩა N18;ქედის მუნიციპალიტეტი, მოსიაშვილების მესამე ქუჩა N6) და ექიმის კაბინეტის სრულად აღჭურვის, ხოლო 2027 წლის სექტემბერში, შენობა-ნაგებობების ადაპტირებისა და შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ - ნადიმ ართმელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბეღლეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხი სგანხილვა

ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თალიკო ჯაყელმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ნადიმ ართმელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბეღლეთის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 12 და 13 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის

თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 145. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 145 მოსწავლისთვის. ექსპერტის თქმით, დაწესებულება დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა ორ მისამართზე, ხულოს მუნიციპალიტეტში სოფელი ბეღლეთში და ზედა ბეღლეთში, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანამანათლებლო პროგრამებს სოფელ ბეღლეთში.
ექსპერტმა, თალიკო ჯაყელმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება“ სტანდარტის მოთხოვნებს, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილად“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა, თალიკო ჯაყელმა, წარმოადგინა სკოლის შენობების ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების ძირითადი შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული და შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, ხოლო ზედა ბეღლეთის დაწყებითი საფეხურის სკოლის შენობა იყო ხის, თუმცა სკოლის ინტერიერი იყო მოწესრიგებული და მორგებული მოსწავლეთა საჭიროებებზე.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა მრავალი კლუბი და წრე: „მათემატიკოსები“, „მერცხლები“, „ნორჩი მკითხველი“ და სხვა. ექსპერტის თქმით, დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მოსწავლეთა პროფესიულ განათლებას და სკოლაში მოწყობილი იყო სამკერვალო სივრცე.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რომელიმე რეკომენდაცია შესრულებული ჰქონდათ თუ არა სკოლის წარმომადგენლებს.
სკოლის დირექტორმა, რამაზ ლომიძემ, აღნიშნა, რომ სრულად აღჭურვეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, გამართეს სახანძრო უსაფრთხოების მოწყობილობები, ასევე, მასწავლებლებმა წარმოადგინეს სავალდებულოდ წარმოსადგენი ცნობები, დაასაქმეს ხელოვნების მასწავლებელი, ხოლო სხვა მიმართულებით გამოცხადებული ჰქონდათ ვაკანსიები.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა, რა ვითარება იყო შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნასთან მიმართებით.
სკოლის დირექტორის თქმით, არ ჰქონდათ შენობა-ნაგებობის მიღება-ჩაბარების აქტი, შესაბამისად არ ჰქონდათ შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, ხოლო აქტის მოპოვების მიზნით მიმართული ჰქონდა პასუხისმგებელი ორგანოსთვის.
საბჭოს წევრი, მანანა თურქაძე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას შიდა და გარე პერიმეტრზე ვიდეო-სამეთვალყურეო კამერები.
სკოლის დირექტორმა, რამაზ ლომიძემ, გამარტა, რომ გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება და ახალი სასწავლო წლისთვის სრულად ექნებოდათ ვიდეო-კამერები დამონტაჟებული. მისი თქმით, სკოლას ჰყავდა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ- ნადიმ ართმელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბეღლეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 145- ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:36
დასრულების დრო - 15:41

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ- ნადიმ ართმელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბეღლეთის საჯარო სკოლას (ს/კ: 248053831) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 145 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ბეღლეთი. ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ზედა ბეღლეთი.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ბეღლეთი.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ბეღლეთი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის ოქტომბერში, თანამშრომელთა მიერ კანონმდებლობით დადგენილი ყველა ცნობის წარმოდგენა, 2026 წლის სექტემბერში 2.2, 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვის, ვიდეო-სამეთვალყურეო

კამერების მონტაჟის, საჯარო რეესტრიდან განახლებული ამონაწერის, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, ხოლო, 2027 წლის სექტემბერში შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5. სსიპ - აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მარანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ტარიელ სივსივაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მარანის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 12 და 13 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 200. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 200 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ტარიელ სივსივაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება“ სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივ“ შესაბამისად.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა, ტარიელ სივსივაძემ, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა არაფორმალურ განათლებას, STEM მიმართულებით მოსწავლეებს მონაწილეობა მიღებული ჰქონდათ საგრანტო კონკურსში და მოპოვებული გრანტით შექმნეს თანამედროვე სკოლის კამპუსის მოდელი. სკოლას, ასევე, ჰქონდა აქტიური სპორტული ცხოვრების პრაქტიკა, ჰქონდა კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი, სადაც ყოველწლიურად იმართებოდა სკოლებს შორის შეჯიბრი.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული, შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და ადაპტირებული გარემო. თუმცა, სკოლის ეზოს ესაჭიროებოდა რეაბილიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ დასკვნაში იყო ჩანაწერი „ჩამოსაწერი ქონების ჩამოწერა და დემონტაჟი“ და მიმართა ექსპერტს დაეზუსტებინა, კონკრეტულად რა იგულისხმებოდა აღნიშნულში.
ექსპერტმა, ტარიელ სივსივაძემ, აღნიშნა, რომ სკოლის ეზოში მდებარეობდა აგურის ერთი შენობა, რომლის დემონტაჟიც იქნებოდა სასურველი.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, მიმართა სკოლის დირექტორს, დაეზუსტებინა ხომ არ იგეგმებოდა აღნიშნული შენობის შემოღობვა ან დემონტაჟი.
სკოლის დირექტორმა, ზაზა პიტავამ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რეკომენდაციებზე დაწყებული ჰქონდათ აქტიური მუშაობა, რიგი მათგანი უკვე გათვალისწინებული ჰქონდათ. აქვე, აღნიშნა, რომ ჰქონდათ მასწავლებელთა მორიგეობის სისტემა, ასევე, ვიდეო-სამეთვალყურეო კამერები, რომლებიც აკონტროლებდა სკოლის გარე პერიმეტრს და დაცული იყო მოსწავლეთა უსაფრთხოება. მისი თქმით, შენობა არ იყო საფრთხისშემცველი და მასში განთავსებული იყო ჩამოსაწერი რესურსები და აპირებდნენ მის შემოღობვას.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი დაინტერესდა, რა მდგომარეობა იყო ექიმის კაბინეტის აღჭურვასთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორმა, ზაზა პიტავამ, აღნიშნა, რომ ექიმის კაბინეტთან დაკავშირებული ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებული იყო და შეძენილი ჰქონდათ შირმაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მარანის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:55
დასრულების დრო - 16:00

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მარანის საჯარო სკოლას (ს/კ: 222445897) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის	ზოგადსაგანმ ანათლებლო	ზოგადსაგანმა ნათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების

	სახელწოდება	პროგრამის საფეხური	პროგრამის განხორციელების ენა	ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარანი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარანი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	აბაშის მუნიციპალიტეტი,სოფელი მარანი

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის დეკემბერში 1.2, 3.1 და 3.4 ინდიკატორებთან მიმართებით, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების, პერსონალის პირად საქმეებში სავალდებულო ცნობების, სადემონტაჟო შენობის შემოღობვის, სამედიცინო კაბინეტის შირმით აღჭურვის, სასმელი წყლის დისპენსერების ფოიეში განთავსებისა და ვიდეო-სათვალთვალო სისტემის მონიტორის იზოლირებულად განთავსების, ხოლო 2027 წლის სექტემბერში, სადემონტაჟო შენობის დემონტაჟისა და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

6. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა განთიადის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, რაინდი როდონაიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა განთიადის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 26 და 27 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 250. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ

მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 250 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, რაინდი როდონაიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტები შეფასდა „მეტწილად“, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი“ შესაბამისობით, ხოლო მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“ სტანდარტის მოთხოვნებს.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ სკოლაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, ვინაიდან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადები უკვე დადმგარი იყო, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული რეკომენდაცია გათვალისწინებული ჰქონდა თუ არა სკოლას.
სკოლის დირექტორმა, ხათუნა გოგიტიძემ, აღნიშნა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია სკოლას გათვალისწინებული ჰქონდა.
საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი დაინტერესდა, რამდენ და რომელ საგანში არ ჰყავდა სკოლას კვალიფიციური მასწავლებელი.
სკოლის დირექტორის თქმით, ექსპერტთა ვიზიტის დროს სპორტის მასწავლებელს არ ჰქონდა დადასტურებული კვალიფიკაცია, თუმცა შემდგომ ჩააბარა კვალიფიკაციის დამადასტურებელი გამოცდა, ხოლო მიმდინარე პერიოდში მუსიკის, ისტორიისა და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს არ ჰქონდათ დადასტურებული კვალიფიკაცია. მისი თქმით, მუდმივად აცხადებდა ვაკანსიებს აღნიშნული მიმართულებით.
საბჭოს მდივანმა, ნინო ბერიკაშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, მიმართული ჰქონდა თუ არა პროგრამისთვის „ასწავლე საქართველოსთვის“.
სკოლის დირექტორის თქმით მსგავსი პროგრამისთვის არ მიუმართავს მანამდე, თუმცა სამომავლოდ გაითვალისწინებდა.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, აღნიშნა, რომ მათემატიკის კურიკულუმები არ იყო ერთგვაროვანი და შემაჯამებელი წერის ანალიზი არ იყო ინფორმაციული, ასევე, კათედრის სხდომის ოქმებში არ იყო ასახული სრული ინფორმაცია.
მათემატიკის ექსპერტმა, სერგო დურგლიშვილმა, აღნიშნა, რომ გაიცა რჩევები და რეკომენდაციები და სკოლის წარმომადგენლებს ჰქონდათ სრული მზაობა აღნიშნულის გათვალისწინებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა განთიადის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:12
დასრულების დრო - 16:15

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა განთიადის საჯარო სკოლას (ს/კ: 248386660) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზედა განთიადი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზედა განთიადი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზედა განთიადი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები - მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის ოქტომბერში 1.2 კომპონენტთან მიმართებით, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად დამტკიცების, 2026 წლის სექტემბერში 2.2 და 3.1 კომპონენტებთანმიმართებით, საბუნებისმეტყველო

მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვის, კვალიფიციური მასწავლებლების შერჩევის, ხოლო 2027 წლის სექტემბერში შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნისა და შენობის ადაპტირების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

7. სსიპ - ქალაქ ბათუმის N13 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მანანა ალიბეგაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ბათუმის N13 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 02 და 03 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1100. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1100 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, მანანა ალიბეგაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება“ სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა :ნაწილობრივი: შესაბამისობით.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ სკოლის შენობა იყო მოწესრიგებული და კეთილმოწყობილი.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდგომ რომელი რეკომენდაციები შეასრულა სკოლამ.
სკოლის დირექტორმა, ირმა ჯანიაშვილმა, აღნიშნა, რომ კურიკულუმებთან დაკავშირებული რეკომენდაციები სკოლას უკვე გათვალისწინებული ჰქონდა, ასევე, გაითვალისწინეს მასწავლებელთა ცნობებთან დაკავშირებული რეკომენდაციაც.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი დაინტერესდა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიასთან დაკავშირებით რა მდგომარეობა იყო სკოლაში.
სკოლის დირექტორის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდგომ შეიძინეს ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიის რესურსები, ასევე, შეძენილი ჰქონდათ ამწოვი კარადა, თუმცა, არ იყო დამონტაჟებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ბათუმის N13 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1100- ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:30
დასრულების დრო - 16:36

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ბათუმის N13 საჯარო სკოლას (ს/კ: 245429013) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1100 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ბათუმი, მამია ვარშანიძის ქუჩა N 53
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ბათუმი, მამია ვარშანიძის ქუჩა N 53
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ბათუმი, მამია ვარშანიძის ქუჩა N 53

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის ოქტომბერში 3.1 ინდიკატორთან მიმართებით, თანამშრომელთა მიერ კანონმდებლობით დადგენილი ყველა ცნობის, 2025 წლის დეკემბერში 2.2 და 3.4 კომპონენტებთან მიმართებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის სრულად აღჭურვის, ექიმის აყვანისა და ვერიფიკაციის დოკუმენტის, ხოლო 2027 წლის სექტემბერში შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნისა და ადაპტირებული გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

8. სსიპ - ქალაქ თბილისის №127 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ჯაშმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №127 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 24 და 25 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1300. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1300 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო სივრცე, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ინფრასტრუქტურა. მისი თქმით სკოლას ჰქონდა რადიო, როგორც ინფორმაციის გადაცემისა და გაზიარების საშუალება და ასაკობრივ ჯგუფებზე მორგებული მუსიკალური შესვენებები. ექსპერტმა, ლელა ჯაშმა, აღნიშნა, რომ დაწესებულება სისტემატურად ახორციელებდა მრავალფეროვან ღონისძიებებს.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული, შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო და ჰქონდა საგანმანათლებლო სერვისის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რეკომენდაციების შესრულებაზე, ვიზიტის შემდგომ რა ნაბიჯები გადადგა სკოლამ.

სკოლის დირექტორმა, ლია სამადაშვილმა, აღნიშნა, რომ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებით დამატებული ჰქონდათ ექთნის შტატი, გამოცხადებული ჰქონდათ ვაკანსია და ელოდნენ კონკურსის დასრულებას. შენობა-ნაგებობის მდგრადობასთან დაკავშირებით კი, აღნიშნა, რომ გაფორმებული ჰქონდათ ხელშეკრულება ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან და ელოდნენ შემდგომ ნაბიჯებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის №127 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1300- ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:49
დასრულების დრო - 16:53

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის №127 საჯარო სკოლას (ს/კ: 204422277) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1300 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N18
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N18

3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N18

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტთან მიმართებით, ექიმის/ექთნის დასაქმების, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმის, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, შენობის ექსპლუატაციაში მიღების პროცედურების განხორციელების, ხოლო 2027 წლის სექტემბერში შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 16:55 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე